

წერა-კითხვისა და ანგარიშის ათვისებისთვის საჭირო ბაზისური უნარების განვითარების თავისებურებები და მიმართება სოციალურ ინტელექტთან

თეონა ლოღია, ლუიზა არუთინოვი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია 5-დან 8 წლამდე ასაკში წერის, კითხვისა და ანგარიშის ათვისებისთვის საჭირო ბაზისური უნარების განვითარების თავისებურებები და მისი მიმართება სოციალური ინტელექტის დონესთან. წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რაც ბაზისური უნარების განვითარების მხრივ მნიშვნელოვან ასაკობრივ დინამიკაზე და ამ უნარების სოციალურ ინტელექტთან დადებით კორელაციაზე მიუთითებს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 350 ბავშვმა, აქედან 176 გოგონა იყო, 174 ბიჭი. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის რამდენიმე სკოლასა და საბავშვო ბაღში. გამოყენებულ იქნა შემდეგი საკვლევო ინსტრუმენტები: 1. ბავშვის განვითარების მდგომარეობის დიაგნოსტიკური შეფასების სკალა (Barth. K. Die diagnostische einschätzskalen (DES) zur Beurteilung des Entwicklungsstandes und der Schulfähigkeit. 2006.). 2. სოციალური ინტელექტის საზომი ტესტი (Guilford, J.P. Test of social Intelligence. 1976).

საკვანძო სიტყვები: ბაზისური უნარები, სოციალური ინტელექტი, პრედიქტორული ღირებულება

არცთუ ცოტაა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც სხვადასხვა სახის სირთულეები ექმნებათ წერა-კითხვისა და ანგარიშის ათვისების დროს. ეს სირთულეები აისახება მათ მთლიან პიროვნულ განვითარებაზე - უკავშირდება სხვადასხვა პრობლემას ემოციურ თუ სოციალური ურთიერთობის სფეროებში და, შესაბამისად, გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რისკის ჯგუფის ბავშვების დროული აღმოჩენა, მათი ფსიქოლოგიური შეფასება შემდგომში ადეკვატური დახმარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით. ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ მიზანს სწორედ წერა-კითხვის ათვისების სირთულეების ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის ქართული ვერსიის მომზადება-სტანდარტიზაცია წარმოადგენდა. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ინსტრუმენტის არსებობა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სასკოლო ასაკი 5 წლით განისაზღვრა და ბავშვებს ადრეულ ასაკში უწევთ სრულიად ახალ ფორმალურ გარემოში შესვლა და ხშირად მათთვის ზედმეტად რთული მოთხოვნების შესრულება.

დასწავლის, განვითარებისა თუ ქცევის დარღვევების კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნეიროფსიქოლოგიურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ადამიანის სწავლისა და განვითარების პროცესებს რამდენიმე ბაზისური უნარის შეუფერხებელი

ფუნქციონირება უდევს საფუძვლად (Luria, 1991; Gaddes, 1991; Graichen, 1979; Ayres 1979; 1984). აღნიშნული მოდელის მეშვეობით შესაძლებელია დიფერენცირებულად გაანალიზდეს არა მხოლოდ ისეთი კომპლექსური ფსიქიკური ფუნქციები, როგორებიცაა მეხსიერება, მეტყველება, აზროვნება და ა.შ., არამედ კითხვის, წერისა და ანგარიშის ათვისებისთვის საჭირო ბაზისური პროცესებიც [1]. ნეიროფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით, დასწავლის და განვითარების დარღვევების მიზეზი ცალკეული შეგრძნების მოდალობის არასაკმარის ინტეგრაციაში ანუ ერთ სისტემად ფუნქციონირების შეფერხებაში უნდა ვეძიოთ. ამგვარ გაგებას უკავშირდება „სენსორული ინტეგრაციის“ ცნება, რომელსაც ჯ. აირესი ასე განმარტავს: „სხვადასხვა სენსორული ინფორმაციის მიღების და გადამუშავების პროცესი და თავის ტვინის კომპლექსური ფუნქციების საფუძველზე ამ ინფორმაციის აზრიან, ადაპტურ ქმედებებად ორგანიზება“ (Ayres, 1984). თუ დავაზუსტებთ, სენსორული ინტეგრაცია ესაა თავის ტვინის მიერ სხვადასხვა შეგრძნების რეცეპტორიდან ინფორმაციის მიღების, დიფერენცირების, შენახვის, ამოცნობის, მოწესრიგების, დაჯგუფების პროცესი, რაც აუცილებელია გარემოს მოთხოვნებზე ადეკვატური პასუხისთვის. სწავლის თუ განვითარების ნებისმიერ პროცესს საფუძვლად უდევს სენსორული ინტეგრაცია [2]. წერის, კითხვის თუ ანგარიშის დროს ბავშვმა უნდა შეძლოს სხვადასხვა სენსორული არხიდან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურად გამოყენება. ჯ. აირესის მიხედვით, ტაქტილური, კინესთეტიკური და ვესტიბულარული შეგრძნებები განვითარების სენსომოტორული საფუძველია. ვიზუალური და სმენითი შეგრძნების პროცესები კი მათზეა დაშენებული.

განვითარებისა და ინფორმაციის გადამუშავების ახალი მოდელების საფუძველზე გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ჩატარდა მრავალწლიანი კვლევები, რომელთა მიზანი იყო სკოლამდელ ასაკში წერთი მეტყველების ათვისებისთვის საჭირო რელევანტური ფუნქციების განსაზღვრა, რაც შესაძლებელს გახდიდა მომავალში წერის და კითხვის ათვისების სირთულეების პროგნოზირებას (Schneider 1989, 1992; Skowronek, Jansen 1992; Mannhaupt 1994). აღნიშნული კვლევების საფუძველზე გამოიყო განვითარების შემდეგი სფეროები:

1. ლატერალობა;
2. უხეში და ფაქიზი მოტორიკა;
3. ტაქტილურ-კინესთეტიკური, ვესტიბულარული, ვიზუალური და სმენითი აღქმა;
4. ვიზუალური და სმენითი მეხსიერება;
5. იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველება;
6. სხეულის სქემა;
7. ყურადღების კონცენტრაცია;
8. ემოციური რეგულაცია;
9. სოციალური ქცევა [1].

კვლევებით დადასტურებულია სწავლაში არსებული სირთულეების კავშირი სოციალური უნარების განვითარების დაბალ დონესთან (Kravetz, Faust, Lipshitz, Shalhav 1998). ბაზისური უნარების დეფიციტი, რომელიც განაპირობებს, მაგალითად, ნაწერის

აღქმის სირთულეს, შესაძლოა გახდეს არავერბალური კომუნიკაციის გაგების პრობლემის საფუძველი. წარმატებული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია მიმიკებისა და ქესტების ადეკვატური აღქმის უნარი, ხმის ტონალობის მნიშვნელობის გაგება და ა.შ. ასეთი უნარების დეფიციტმა შესაძლოა განაპირობოს სოციალური ურთიერთობის გართულებაც [3]. უნარი, რომელიც ყალიბდება ინდივიდის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში და საშუალებას აძლევს მას წარმატებით გადაჭრას გარემოსთან ურთიერთობის დროს წამოჭრილი ამოცანები, ლიტერატურაში სოციალური ინტელექტის სახელით არის ცნობილი.

ჰ. გილფორდის კონცეფციაში სოციალური ინტელექტი წარმოადგენს ინტეგრალურ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც განსაზღვრავს წარმატებულ ურთიერთობას სოციუმთან და სოციალურ ადაპტაციას. ეს უნარი ყალიბდება სოციალური პერცეფციის, სოციალური მეხსიერების, სოციალური აზროვნების პროცესების წყალობით [4]. ჰ. გილფორდმა ჩამოაყალიბა სოციალური ინტელექტის სტრუქტურული მოდელი, რომელიც ოთხ ფაქტორს მოიცავს:

1. განსაზღვრულ სიტუაციებში ადამიანების ქცევის შედეგების წინასწარმეტყველების უნარი;
2. ინდივიდის სხვადასხვაგვარ არავერბალურ რეაქციებში საერთო არსებითი ნიშნების გამოყოფის უნარი;
3. ადამიანის მსგავს ვერბალურ რეაქციებში მნიშვნელობის ცვლილების გაგების უნარი;
4. სოციალური სიტუაციის განვითარებაში ლოგიკის წვდომის უნარი.

როგორც უკვე აღინიშნა, დასწავლას სხვადასხვა სახის ინფორმაციის (ტაქტილურ-კინესთეტიკური, ვესტიბულარული, ვიზუალური, სმენითი) გადამუშავების პროცესები უდევს საფუძვლად. ანალოგიურად, წარმატებული სოციალური ინტერაქციისთვის ვერბალური თუ არავერბალური სტიმულების ადეკვატური აღქმაა საჭირო. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბაზისურ უნარებსა და სოციალურ ინტელექტს შორის კავშირი უნდა არსებობდეს.

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანი იყო წერის და კითხვის ათვისებისთვის საჭირო ბაზისური უნარების თავისებურებათა შესწავლა და მათი ასაკობრივი დინამიკის კვლევა. მეორე მნიშვნელოვანი ფენომენი, რომელიც განხილულია ნაშრომში, ესაა სოციალური ინტელექტი და მისი მიმართება ბაზისური უნარების განვითარების დონესთან.

კვლევის ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ბაზისური უნარები ვითარდება ასაკის მატებასთან ერთად;

- არსებობს დადებითი კორელაცია ბაზისური უნარების განვითარების დონესა და სოციალურ ინტელექტს შორის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 5-დან 8 წლამდე 350 ბავშვმა. აქედან 174 ბიჭი იყო, 176 გოგონა. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის რამდენიმე სკოლასა და საბავშვო ბაღში.

გამოყენებულ იქნა შემდეგი საკვლევო ინსტრუმენტები:

1. ბავშვის განვითარების მდგომარეობის დიაგნოსტიკური შეფასების სკალა (Barth. K. Die diagnostische einschätzskalen (DES) zur Beurteilung des Entwicklungsstandes und der Schulfähigkeit.).

გერმანელი ფსიქოლოგის მიერ შემუშავებული ეს ინსტრუმენტი ეფუძნება ა. ლურიას, ჯ. აირესის და ჯ. ლორენცის თეორიებს. ის საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ შემდეგი ბაზისური უნარები: უხეში მოტორიკა, ნატიფი მოტორიკა, თვალების კუნთების კონტროლი, სმენითი ხანმოკლე მეხსიერება, ტაქტილური/ შეხების შეგრძნება, კინესთეტიკური შეგრძნება, სხეულის სქემა, გემტალტის/ ფორმის აღქმა, ფონოლოგიური ცნობიერება, რაოდენობის აღქმა, ფონემატური დისკრიმინაცია, ვიზუალური ყურადღება, ვიზუალური ფიგურა-ფონის აღქმა, არტიკულაცია, ვიზუალური მეხსიერება, სმენითი სამეტყველო მეხსიერება, მოქმედების დაგეგმვა, ვიზუალური ოპერირება.

თითოეულ ბაზისურ უნარს შეესაბამება გარკვეული დავალებები, რომელთა შესრულების დონიდან გამომდინარე ხდება ქულების მინიჭება.

2. სოციალური ინტელექტის საზომი ტესტი (Guilford, J.P. Test of social Intelligence).

ტესტი მოიცავს 4 სუბტესტს, კვლევისთვის შეირჩა ერთი მათგანი - ისტორიის დასრულება, მოცემული 14 სიტუაციიდან კი 8 სურათი, რომლებზედაც წარმოდგენილია ცხოვრებისეული სიტუაციები. ცდისპირს მოეთხოვება, გამოიცნოს, რას გრძნობენ და რის გაკეთებას აპირებენ იქ გამოსახული ადამიანები. შემდეგ კი მოცემული სამი სურათიდან უნდა შეარჩიოს ის სურათი, რომელზეც ასახულია ამ სიტუაციის ყველაზე მართებული გაგრძელება. არჩეული სურათის ნომერი უნდა შემოიხაზოს პასუხების ბლანკში. ყოველი სწორად არჩეული პასუხისთვის ხდება ქულის მინიჭება.

შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა გამოყენებული ინსტრუმენტების საკმაოდ მაღალი სანდოობა, რაც მათი დიაგნოსტიკური მიზნების შესაბამისად გამოყენების მყარ საფუძველს ქმნის.

ბაზისური უნარების განვითარების მხრივ გამოვლინდა მნიშვნელოვანი ასაკობრივი დინამიკა – ოთხივე ასაკობრივი კატეგორიის ცდისპირთა ბაზისური უნარების ჯამურ მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 5 და 6 წლის ბავშვების მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება უკლებლივ ყველა სკალის მიხედვით, მაშინ როდესაც 6 და 7 წლის ბავშვების შესაბამის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება რამდენიმე სკალაზეა გამოვლენილი, ესაა ნატიფი მოტორიკა, სმენითი ხანმოკლე მეხსიერება, კინესთეტიკური შეგრძნება, სხეულის

სქემა, ფონემატური დისკრიმინაცია და არტიკულაცია. 7 და 8 წლის ბავშვებთან კი სანდო განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ ბაზისური უნარების ჯამურ მაჩვენებლებს შორის (იხ. ცხრილი).

*ბაზისური უნარების საშუალო ქულები ასაკის მიხედვით
(წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგები)*

	5 წლის	6 წლის	7 წლის	8 წლის
1. ბაზისური უნარები - ჯამური ქულა	M=272.1	M=316.4	M=321.0	M=322.4
2. უხეში მოტორიკა	M=17.1	M=17.9		
3. ნატიფი მოტორიკა	M=15.3	M=20.2	M=20.9	
4. თვალების კუნთების კონტროლი	M=8.1	M=8.9		
5. სმენითი ხანმოკლე მეხსიერება	M=31.5	M=34.0	M=34.8	
6. ტაქტილური შეგრძნება	M=11.9	M=12.0		
7. კინესთეტიკური შეგრძნება	M=19.1	M=19.8	M=20.0	
8. სხეულის სქემა	M=7.7	M=8.5	M=8.8	
9. გემტალტის/ფორმის აღქმა	M=14.2	M=15.6		
10. ფონოლოგიური ცნობიერება	M=49.1	M=63.0		
11. რაოდენობის აღქმა	M=11.2	M=13.8		
12. ფონემატური დისკრიმინაცია	M=21.6	M=23.5	M=23.9	
13. ვიზუალური ყურადღება	M=22.3	M=27.5		
14. ვიზუალური ფიგურა-ფონის აღქმა	M=5.0	M=5.6		
15. არტიკულაცია	M=2.0	M=2.7	M=2.9	
16. ვიზუალური მეხსიერება	M=7.1	M=11.7		
17. სმენითი სამეტყველო მეხსიერება	M=3.5	M=4.0		
18. მოქმედების დაგეგმვა	M=3.8	M=4.0		
19. ვიზუალური ოპერირება	M=20.4	M=23.9		

კვლევაში წარმოდგენილ ცვლადებს შორის კავშირის გამოსავლენად, გამოვიყენეთ პირსონის კორელაციის კოეფიციენტი.

შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია ბაზისური უნარების ჯამურ მაჩვენებელსა და სოციალური ინტელექტის ჯამურ ქულას შორის ($r=.251$ $p>.01$). ასევე დადებითი კორელაცია გამოვლინდა ბაზისური უნარების შესაფასებელი ინსტრუმენტის ცალკეული სკალების ჯამურ მაჩვენებელსა და სოციალური ინტელექტის ჯამურ ქულას შორის. აღმოჩნდა, რომ დადებითი კორელაცია არსებობს თვალების კუნთების კონტროლის უნარს ($r=.315$ $p>.01$), სხეულის სქემას ($r=.213$ $p>.05$), ტაქტილურ შეგრძნებასა ($r=.225$ $p>.05$) და სოციალურ ინტელექტს შორის. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ ბავშვებს, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული ტაქტილური შეგრძნება, სხეულის სქემა და თვალების მოტორიკა, უკეთესად შეუძლიათ სოციალური სიტუაციების გაგება იმ ბავშვებთან შედარებით, ვისაც ასეთი უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული.

ბაზისურ უნარებსა და სოციალურ ინტელექტს შორის დამოკიდებულების ხასიათის შესასწავლად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. დადგინდა, რომ ბაზისური უნარები სოციალური ინტელექტის ვარიაბელობას 11%-ით ხსნის და 34%-ით წინასწარმეტყველებს სოციალური ინტელექტის შედეგებს.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ შემდეგ ზოგად ტენდენციებზე:

- ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება წერის, კითხვისა და ანგარიშისთვის საჭირო ბაზისური უნარები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასაკობრივი დინამიკა დასტურდება 5 – 6 წლის ასაკობრივ დიაპაზონში - 6 წლის ბავშვების ბაზისური უნარების განვითარების დონე ყველა სკალის მონაცემების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე 5-წლიან ბავშვებთან. ამრიგად, 5-6 წლის ასაკი ბაზისური უნარების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით სენზიტიურ პერიოდად უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ უნარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, რათა წერა-კითხვის სწავლების სტრატეგიების შერჩევის დროს შესაძლებელი იყოს ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინება.
- ბაზისურ უნარებსა და სოციალურ ინტელექტს შორის დადებითი კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კარგად განვითარებული ბაზისური უნარების მქონე ბავშვებს შეუძლიათ უკეთ აღიქვან სოციალური სიტუაციები და, შესაბამისად, უფრო წარმატებული სოციალური ინტერაქცია განახორციელონ, ვიდრე იმ ბავშვებმა, რომლებსაც ასეთი უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული.
- ბავშვებს, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული ტაქტილური შეგრძნების უნარი, სხეულის სქემა და თვალების მოტორიკა, უკეთესად შეუძლიათ სოციალური სიტუაციების გაგება, ვიდრე იმ ბავშვებს, ვისაც ეს უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. აღნიშნულმა შედეგმა დაადასტურა ტაქტილური შეგრძნების მნიშვნელოვანი ფუნქცია ბავშვის სოციალური და ემოციურ განვითარებაში. ამ ტიპის შეგრძნების მეშვეობით ბავშვი სხვადასხვა სახის შეხების იდენტიფიცირებას, მათთვის განსაზღვრული მნიშვნელობის მინიჭებას სწავლობს. კარგად ფუნქციონირებადი ტაქტილური შეგრძნების სისტემა არსებითი წინაპირობაა იმისთვის, რომ ბავშვმა სხეულბრივი კონტაქტი აღიქვას, როგორც სასიამოვნო, და თავი დაცულად იგრძნოს. ამასთანავე, საკუთარი სხეულის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა შეხების გამღიზიანებლების ლოკალიზაციის ზუსტი განსაზღვრა და მისი გამოდიფერენცირება სხვა გამღიზიანებლებისაგან. ეს კი, თავის მხრივ, კარგად განვითარებული სხეულის სქემის ჩამოყალიბების წინაპირობაა. საკუთარ სხეულში კარგად გარკვეული ბავშვი უკეთ ახერხებს როგორც საკუთარი ქმედების დაგეგმვას, ასევე სხვისი ქცევის პროგნოზირებას, რაც აუცილებელია წარმატებული სოციალური ინტერაქციისთვის.
- ბაზისურ უნარებს პრედიქტორული ღირებულება აქვს სოციალურ ინტელექტთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ ბაზისური უნარების მაჩვენებლთა მიხედვით

შესაძლებელია გარკვეულწილად ვიწინასწარმეტყველოთ სოციალური ინტელექტის განვითარების დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barth, K. (2006): Lernschwächen früh erkennen. Ernst Reinhard Verlag, München
2. Ayres, A.J.(1984): Bausteine kindlichen Entwicklung. Springer, Berlin/Heidelberg
3. Kravetz, Sh.; Faust, M., Lipshitz, Sh.; Shalhav, Sh.(1999): LD, Interpersonal Understanding and Social Behavior in the Classroom. Journal of Learning Disabilities 32(3): 248-255
4. Пантолик Т.С. (2006), Использование теста Гильфорда в исследовании развития социального интеллекта детей школьного возраста. Естествензнание и гуманизм. Сборник научных работ, Том 3, №2
5. Лурия А. Р. (2006), Основы нейропсихологии. Издательство Академии Наук РСФСР.

Article received: 2011-12-23